ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის 17 დეკემბრის სხდომის

ოქმი

სხდომას ესწრებოდნენ: ვარლამ ჭიპაშვილი,დავით კიკნაძე,იუზა კელენჯერიძე,ოთარ ლურსმანაშვილი, აკაკი ლურსმანაშვილი, მალხაზ ფხალაძე, ვახტანგ ტალახაძე, მარინე ხვედელიძე,ნონა ზურაბიანი ,გივი თავზარაშვილი და გივი თხელიძე.

დღის წესრიგი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის (კორექტირებული ვარიანტის) განხილვა

/მომხს: ვ.ჭიპაშვილი/

დეპუტატებს ვარლამ ჭიპაშვილმა გააცნო განმარტებითი ბარათი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოში წარმოადგინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.

განმარტებით ბარათში ვკითხულობთ:

განმარტებითი ბარათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების გათვალისწინებით

1. ვიზიარებთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნებს. მათ შორის პირველი, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი არ არის სრულად პროგრამული.

   იმის გამო რომ ეს არის პირველი წელი როდესაც მუნიციპალიტეტები მასიურად გადადიან პროგრამული დაფინანსების წესზე და ეს არის გარდამავალი ეტაპი, რომელიც ვერ დასრულდება ერთ-ორ წელიწადში, რადგან არ არსებობს სათანადო გამოცდილება. სწორედ ამიტომ ამ ეტაპზე არ მტკიცდება პროგრამული ბიუჯეტის დანართი და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა, ამის მთავარი მიზეზი კი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა, ვინაიდან დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის, ან ქვეპროგრამის განმხორციელებელის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე საუკეთესო ვარიანტად არ განიხილება, რადგან საწყის

5. ასევე ვიზიარებთ ინფრასტრუქტურის ხარჯების დაფინანსების სიმცირეს, 2020 წლის შემოსავლების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა სრულად ინფრასტრუქტურის ხარჯების გათვალისწინება, აღნიშნული პროგრამის დაფინანსება აუცილებლად გაიზრდება 2020 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან, მოთხოვნებისა და შესაძლებლობის მიხედვით, თუმცა ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა ინფრასრუქტურის ხარჯების გაზრდა 120,0 ათასი ლარით, მათ შორის გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები 100,0 ათასი ლარით, წყლის სისტემის განვითარების ხარჯები 20,0 ათ. ლარით;

6. გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა-გაფართოებაზე სახსრების გამოყოფა 2020 წლის ბიუჯეტში ნაკლებად შესაძლებელი იქნება, თუმცა სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მომდევნო წელსაც გაგრძელდება ახალი ქსელების მოწყობა. რაც შეეხება გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას, გარდა მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდისა, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება არსებული ქსელის რეაბილიტაცია.

7. სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და რეაბილიტაციის ხარჯები როგორც ზევით აღინიშნა გაიზარდა ამ ეტაპზე 20,0 ათასი ლარით; ასევე საქართველოს წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სავარაუდოდ გამოეყოფა სულ მცირე 250,0 ათასი ლარი, რაც ასევე ხელს შეუწყობს წყლის სისტემის განვითარებას და მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფას.

8. 2020 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგ. განვითარების ფონდიდან გამოეყოფა თანხა სტიქიის ლიკვიდაციის ღონისძიებებიდან დაზიანებული ხიდებისა და ხიდბოგირების სრული რეაბილიტაციისათვის.

9. მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის პირობებში გაიზრდება მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯები.

10. 2020 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია 2019 წლის სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების ხარჯები და მოსალოდნელი სტიქიის სავარაუდო თანხა.

11. რიგი გარემოებების გამო ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ სათნოების სახლისა და ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვის გზით დაფინანსებაზე.

12. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდას, შეგახსენებთ რომ სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აქვს მთელი რიგი პროგრამები (დანერგე მომავალი; აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი; შეღავათიანი აგრო-კრედიტი და სხვა), რომელებითაც ნაწილობრივ სარგებლეოს კიდევაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, დაინტერესებულ ყველა პირს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ამ პროგრამებში.

13. სოციალური პროგრამები 2020 წელს დაიგეგმა ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქვეპროგრამების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ისე როგორც მიმდინარე წელს გაიზარდა ასევე მომავალ წელსაც გაიზრდება აღნიშნული ქვეპროგრამების თანხები.

14. 2020 წლის ბიუჯეტში მერიის ხარჯები მინიმალურადაა განსაზღვრული და მისი შემცირება ხელს შეუშლის მერიის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8 260,5 ათასი ლარით. აქედან :

ა) გადასახადები განისაზღვრა - 6 698,9 ათასი ლარი, მათ შორის:

-საწარმოთა ქონების გადასახადი - 200,0 ათასი ლარი;

-ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 900.0 ათასი ლარი;

- დამატებული ღირებულების გადასახადი - 5598,9 ათასი ლარი.

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 140.0 ათასი ლარი;

გ) სხვა შემოსავლები - 1396.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 50,0 ათასი ლარი;

- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უხურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 55.0 ათასი ლარი;

- სანებართვო მოსაკრებელი - 1.6 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 40.0 ათასი ლარი;

- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 1250,0 ათასი ლარი;

დ) არაფინანსური აქტივების კლება - 25,0 ათასი ლარი, მათ შორის:

- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან - 15,0 ათასი ლარი;

- არამწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 10,0 ათასი ლარი.

2. 2020 წლის ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოვიენეთ 2020 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 141,5 ათასი ლარი.

3) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 402,0 ათასი ლარით. აქედან:

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულება - 2,603.0 ათ. ლარი

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 2,484.0 ათ, ლარი;

01 01 01 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო- 627.0 ათ, ლარი

01 01 02 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია- 1,757.5 ათ. ლარი

01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 81.5ათ, ლარი

01 01 04 კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 18.0 ათ. ლარი

01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები-119.0 ათ, ლარი;

01 02 01 სარეზერვო ფონდი- 50.0 ათ, ლარი

01 02 02 წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა - 5.0 ათ. ლარი

01 02 03 მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა- 64.0ათ. ლარი

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 1033,3 ათ. ლარი

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება -687.3 ათ. ლარი

02 01 01 გზების კაპიტალური შეკეთება - 507.3 ათ. ლარი

02 01 02 გზების მიმდინარეც შეკეთება - 100,0 ათ. ლარი

02 01 04 ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 50.0 ათ. ლარი

02 01 05 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა- 30.0ათ. ლარი

02 02 წყლის სისტემის განვითარება - 70.0 ათ. ლარი

02 02 01 სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 70.0 ათ. ლარი

02 03 გარე განათება - 171,0 ათ. ლარი

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - 171,0 ათ. ლარი

02 04 მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 80.0 ათ. ლარი

02 09 სოფლის მხარდამჭერი პროგრამა - 5.0 ათ, ლარი

02 10 სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა - 20.0 ათ. ლარი

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 909, ათ. ლარი;

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა- 728,1 ათ. ლარი

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 172,4 ათ, ლარი

03 03 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები- 8.5 ათ. ლარი

04 00 განათლება - 1 580,0 ათ. ლარი;

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება - 1390,0 ათ. ლარი

04 05 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი) - 80.0 ათ, ლარი

04 06 არაფორმალური განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი) - 110.0 ათ. ლარი

05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1 312.7 ათ. ლარი

05 01 სპორტის სფეროს განვითარება - 385.0 ათ. ლარი

05 01 01 სპორტული ღონისძიებები- 10.0 ათ. ლარი

05 01 02 სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა -375.0 ათ. ლარი

05 02 კულტურის სფეროს განვითარება - 817.7 ათ. ლარი

05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა - 810.7 ათ. ლარი

05 02 01 01 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 125.0 ათ. ლარი

05 02 01 02 კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა - 665.0 ათ. ლარი

05 02 01 03 ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა - 20.7ათ. ლარი

05 02 02 კულტურის ღონისძიებების დაფინანსება -7.0 ათ. ლარი

05 03 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა - 50.0 ათ. ლარი

05 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 50.0 ათ. ლარი;

05 05 ახალგაზრდობის მხარდაჭერა- 10.0 ათ. ლარი;

06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 964.0 ათ. ლარი;

06 01 სახ. ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა -125.0 ათ. ლარი

06 02 სოციალური დაცვა - 839.0 ათ, ლარი

06 02 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -307.0ათ. ლარი

06 02 02 კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება- 4.0 ათ, ლარი

06 02 03 შშმ პირთა დახმარების პროგრამა -35.0 ათ, ლარი

06 02 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება-60.0 ათ, ლარი

06 02 05 ლეიკემიით დაავად. და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება-23.0 ათ, ლარი

06 02 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 10.0 ათ, ლარი

06 02 07 მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 3.0 ათ, ლარი

06 02 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა- 6.0 ათ, ლარი

06 02 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამა- 50.0 ათ, ლარი

06 02 10 საქართველოს ტერიტ.მთლ. ომში დაღუპულთა დახმ. პროგრამა-8.0ათ. ლარი

06 02 11 ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა- 2.0 ათ, ლარი

06 02 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება - 34.0 ათ, ლარი

06 02 13 სოც. დაუცველ და უპატრონო მიცვალ. სარიტ. მომსახ. პროგრამა -10.0 ათ, ლარი

06 02 14 უკიდურესად გაჭირვ. ოჯახების სათბობი მასალით დახმ. სპროგრამა- 6.0 ათ, ლარი

06 02 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა- 30.0 ათ, ლარი

06 02 16 გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა- 1.0 ათ, ლარი

06 02 17 სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება - 143.0 ათ, ლარი

06 02 18 უფასო სასადილო - 97.0 ათ, ლარი

06 02 19 სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 10.0 ათ, ლარი.

2020 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 8 402, 0 ათასი ლარი შედგება:

ხარჯებისაგან - 7 642,5 ათას ლარი - ბიუჯეტის 91,0%

არაფინანსური აქტივების ზრდა - 720,5 ათას ლარი - ბიუჯეტის 7,6 %;

ვალდებულებების კლება - 39,0 ათასი ლარი - ბიუჯეტის 0,5 %;

2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები 7 642,5 ათასი ლარი შედგება:

შრომის ანაზღაურება - 1794,0 ათასი ლარი- სარჯების 23,5 %- მ. შ დელეგირებული - 66,0 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 748,9 ათასი ლარი - ხარჯების -9,8 %; (მ. შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 175,4 ათასი ლარი; მივლინება - 17,7 ათასი ლარი; ოფისი - 132,7 ათ.

ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯები - 27,0 ათ. ლარი; ტრანსპორტის ხარჯები - 163,3 ათ. ლარი; სხვა დანარჩენი საქ. და მომსახურება - 232,8 ათ. ლარი)

პროცენტი - 25,0 ათასი ლარი- 0,3 %;

სუბსიდიები - 4065,8 ათასი ლარი,- ხარჯების - 53,2 % - მ. შ. დელეგირებული - 73,0 ათ. ლარი.

გრანტები - 21,3 ათასი ლარი- 0,3%;

სოციალური უზრუნველყოფა - 566,0 ათასი ლარი- ხარჯების 7,4 %- მ. შ. დელეგირებული - 1,0 ათასი ლარი;

სხვა ხარჯები - 421,5 ათასი ლარი- 5,5 %.

კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მერიამ საკრებულოს ძენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა, რაც მისასალმებელია, ხოლო რამდენიმე შენიშვნა არ გაითვალისწინა,რაზეც მერიის დამატებითი მუშაობა და საკრებულოს აქტიურობაა საჭირო.

კომისიის წევრი იუზა კელენჯერიძე უკმაყოფილებას გამოხატავს იმ ფაქტის გამო, რომ ბიუჯეტის პროექტში არ გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხარჯი. იუზა კელენჯერიძის თქმით, სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს და 20 000 ლარით ვერანაირ შედეგს ვერ მივიღებთ მუნიციპალიტეტში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

საკრებულოს წევრს, გივი თავზარაშვილს მიუღებლად მიაჩნია პრიორიტეტად მიჩნეული სოფლის მეურნეობის სფეროს მხოლოდ 20 000 ლარით დაფინანსება. თავზარაშვილის აზრით, ხარაგაულის პირობებში ყველაზე მეტი თანხა სოფლის მეურნეობაში უნდა იხარჯებოდეს,რაც არ ხდება და არაგონივრული გადაწყვეტილებაა.

დეპუტატმა დავით კიკნაძემ აღნიშნა, რომ ბორის სკოლა პანსიონისა და სკოლამდელი განათლების დაფინანსების გაზრდა აუცილებელი იყო ,რაც განხორციელდა და მისასალმებელია.

კომისიის წევრი მალხაზ ფხალაძე მიიჩნევს, რომ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით, 250 000 ლარის გამოყოფა დაკონკრეტებული არაა და რა იქნება მომავალში ეს წინასწარ ვერ გვეცოდინება.ფხალაძის აზრით,მერიის მხრიდან მეტი კონკრეტიკაა საჭირო.

დეპუტატ ოთარ ლურსმანაშვილის თქმით, ბიუჯეტში ატრაქციონების შესამენად საჭირო თანხა კვლავ არ არის გათვალისწინებული. ლურსმანაშვილის თქმით, მერია დაფინანსების წყაროდ რეგიონალური განვითარების ფონდს მიუთითებს, მაგრამ აღნიშნული ფონდის დაფინანსების ფარგლებში განსახორციელებლად შერჩეულ პროექტებში მსგავსი პროექტი არ იკითხება და შესაბამისად ბუნდოვანია ატრაქციონების ბედი.

კომისიის წევრმა გივი თხელიძემ უკმაყოფილება გამოხატა სოციალური ხარჯების გაზრდის განუხორციელებლობის გამო, მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ წინა წლებთან შედარებით სოციალური ხარჯები გაზრდილია ,ხოლო სოციალური პროგრამები გამრავალფეროვნებული.

კიცხის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ლუსმანაშვილმა განაცხადა, რომ გარე -განათების სისტემების მოსაწყობად ხარჯი უნდა გაზრდილიყო რადგან, მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით პროექტების განხორციელება სრულყოფილად ვერ მოხერხდება.

კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი მიესალმება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის , სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის , სკოლამდელი განათლების დაფინანსების და ბორის სკოლა პანსიონის დასაფინანსებელი ხარჯების გაზრდას.

კომისიის წევრებმა დავით კიკნაძემ და ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტეს რომ საკრებულოში მერიამ უნდა წარმოდგინოს ავტომანქანის შესაძენი ხარჯის დაგეგმვის აუცილებლობის არგუმენტები ,რაც საბიუჯეტო შენიშვნების საპასუხოდ არ მოუხდენია.

საბოლოოდ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად მიიჩნია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის (კორექტირებული ვარიანტის) კომისიურ ფორმატში განხილვა დასრულებულად და გადაწყვიტა საკითხი საკრებულოს სხდომაზე გავიდეს დასამტკიცებლად. საბოლოოდ, კომისიის წევრების პოზიცია ერთიანია(დადებითი დასკვნა) ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ,გარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხარჯისა და მერიისათვის ავტომანქანის შესაძენი ხარჯების დაგეგმვისა. კომისია მიიჩნევს, რომ საკრებულოში მერიამ უნდა წარმოადგინოს ავტომანქანის შესაძენი ხარჯის დაგეგმვის აუცილებლობის არგუმენტები ,რის შემდგომაც საკრებულო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ამასთანავე ,მერიამ საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესაბამისი გონივრული პროექტების წარმოდგენის შემთხვევაში საჭიროებიდან გამომდინარე უნდა განიხილოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდის საკითხი. კომისიის შეფასებით, მერიამ საკრებულოს შენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა, რაც მისასალმებელია, ხოლო რამდენიმე შენიშვნა არ გაითვალისწინა, რაზეც საბიუჯეტო წლის განმავლობაში მერიის დამატებითი მუშაობა და საკრებულოს აქტიურობაა საჭირო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

/ვარლამ ჭიპაშვილი/